

სხდომის ოქმი №1

ქ.ბათუმი, დიდაჭარის ქ. #23

27 დეკემბერი 2018 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით პირველ სხდომას ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - ჯუმბერ ვარდმანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ირმა მგელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - სარფი; თამაზ ფუტკარაძე - ადმინისტრაციული ერთეული - თხილნარი; გიული ბასილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მახინჯაური; მანანა დიასამიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ახალშენი; ლევან ტარიელაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ფერია; სოლომონ ცინცქილაძე - ადმინისტრაციული ერთეული - ორთაბათუმი; ომარ ბერიძე - ადმინისტრაციული ერთეული - ჭარნალი; გენადი შაშიკაძე - ადმინისტრაციული ერთეული - მაჭახელა; მერი ცინცაძე - ადმინისტრაციული ერთეული - კირნათი; ჯამბულ იაკობაძე - ადმინისტრაციული ერთეული - აჭარისწყალი; ზურაბ რიუვაძე - ადმინისტრაციული ერთეული - შარაბიძეები; ნინო ჩხაიძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის წარმომადგენელი.

დღის წესრიგი:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთათვის საბჭოს შემადგენლობის და უფლებამოსილებების გაცნობა.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარის და მდივნის არჩევა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უმრავლესობის მიერ თავჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილ იქნა ირმა მგელაძის კანდიდატურა, ხოლო მდივნის თანამდებობაზე გიული ბასილაძის კანდიდატურა, რასაც ერთხმად დაუჭირა მხარი საბჭოს ყველა წევრმა.

ამის შემდგომ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო, ინფრასტრუქტურული და ეკოლოგიური მიმართულებით

არსებულ პროტოკოლის მსჯელობის შედეგად გამოვლინდა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებლობის შემთხვევაში ეტაპობრივად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმაში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ იგი პერიოდულად საბჭოს განსახილველად წარუდგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს, ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტებს და იმედოვნებს, რომ საბჭო პასუხისმგებლობით მოვალეობა აღნიშნულს და წარმოადგენს კვალიფიციურ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

საბჭოს წევრებმა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოხატეს თავიანთი აზრი და დააფიქსირეს, რომ ისინი აქტიურად აპირებენ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა დასრულდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
იორდა მგელაძე

ი. ჭავჭავაძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი
გიული ბასილაძე

ა. ბერიძე